მუნიციპალიტეტის მიერ, ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ და არ ეწინააღმდეგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ეკონომიკური მოვლენა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილი შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარდგენილი. სსბასს განსაზღვრული ყველა მიზანი მიღწევა არ არის სავალდებულო,რადგან მუნიციპალიტეტის მიზანს არ წარმოადგენს და არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე - კანონმდებლობით ის პასუხისმგებელია საზოგადოებისთვის მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაზე, როგორც ეს პროგრამული ბიუჯეტით არის განსაზღვრული. საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ოპერაციების უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილია დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია, იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.

მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენის ვალდებულება, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, აკისრია მუნიციპალიტეტს და დადგენილია სსბასს საფუძველზე მომზადებულ შიდა საღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტით. მუნიციპალიტეტის შიდა საღრიცხვო პოლიტიკა ასახავს იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც არ რეგულირდება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი მეთოდოლოგიით და სსბასს (IPSAS)-ით და იწვევს მათი მოთხოვნებიდან გადახრას, ან მეთოდოლოგია და სტანდარტები იძლევა არჩევანის უფლებას.

უზრუნველყოფილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სისრულე მოიცავს ყველა კონტროლირებული ერთეულის - მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ და საბიუჯეტო კოდექსით

საბიუჯეტო ორგანიზაციად განსაზღვრულ ა(ა)იპ-ების ფინანსურ ანგარიშგებებს.კონტროლირებული ერთეული არ გამოირიცხება კონსოლიდაციიდან იმ მიზეზით, რომ მისი საქმიანობები განსხვავდება ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულების საქმიანობისაგან (საქონლისა და მომსახურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით ახდენს მიწოდებას მაშინ როდესაც ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულები უსასყიდლოდ ან/და ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით და ა.შ); კონსოლიდირებული და ა(ა)იპ-ების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით, რომელიც სამოქმედოდ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, დაცულია ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების ყველა კრიტერიუმი, არაარსებითი გამონაკლისების გარდა. სსბასს მოთხოვნების გათვალისწინებით სრული კონსოლიდაცია ვერ განხორციელდა, ვინაიდან ხაზინის ელექტრონული საინფორაციო სისტემით გათვალისწინებული ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალი ამ ეტაპზე დასრულებული სახით არ ფუნქციონირებს და ინფორმაცია, საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ებისთვის სუბსიდიის მუხლით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწული საკასო ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით არ არის აღრიცხული, ვინაიდან სუბსიდია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებად არ არის დეტალიზებული (სუბსიდიის ხარჯების ქვეტიპებს დეტალური მუხლების მიხედვით ხაზინის სისტემა არ ითვალისწინებს და საკასო ხარჯების გაწევა და აღრიცხვა ქვეტიპებად არ ხდება). მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია მუნიციპალიტეტსა (მაკონტროლებელსა) და კონტროლირებულ ერთეულებს შორის შიდა ოპერაციებით, ფინანსური ასგარიშგებიდან ელიმინირებულია, ხოლო კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციების და ნაშთების ელიმინირება სრულად უზრუნველყოფილია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო წლის საწყის თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის მომხდარი ყველა ეკონომიკური მოვლენა, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

ა) აქტივები;

ბ) ვალდებულებები;

გ) წმინდა აქტივები/კაპიტალი;

დ) შემოსავლები;

ე) ხარჯები;

ვ) წმინდა აქტივებში/კაპიტალში განხორციელებული სხვა ცვლილებები;

ზ) ფულადი სახსრების ნაკადები.

მუნიციპალიტეტი ბუღალტრულ აღრიცხვაში იყენებს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულ სსბასს საფუძველზე მომზადებულ სამუშაო ანგარიშთა გეგმას. სამუშაო ანგარიშების გეგმის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებს; მმართველობითი აღრიცხვის და შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის წესებს და პირობებს;

სტატისტიკურ და სხვა არაფინანსური ანგარიშების მომზადების წესებს. ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის გარე და შიდა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს. ეკონომიკური მოვლენების მოკორესპონდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვა ხდება პირველად დოკუმენტებში მითითებული ოპერაციების და სხვა მოვლენების მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული მოვლენა. მუდმივ და დროებით ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში. დროებით ანგარიშებზე ასახული შემოსავლები და ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ანგარიშგების თარიღისთვის 31 დეკემბერს გადაიხურება წმინდა აქტივების/კაპიტალის ანგარიშებზე. საცნობარო ანგარიშები გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ დამატებითი ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩანაწერის პრინციპის გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.

მუნიციპალიტეტის და ყველა კონტროლირებული ერთეულების მიერ საბიუჯეტო ასიგნებები გამოყენებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სახაზინო მომსახურების პრინციპებით განსაზღვრული მოთხოვნები, გადახდების განხორციელების წესებით დადგენილ ეტაპებზე (ვალდებულების რეგისტრაცია, წინასწარი გადახდა, დამოწმება) დაცულია, ხარჯები გაწეულია და ფინანსური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში აღიარებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნების დაცვით, რაც ითვალისწინებს: - შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია; ასევე ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა.

საბიუჯეტო თანხების გადახარჯვა არ მომხდარა. ხარჯები არ გაწეულა ასიგნების გარეშე, გარდა კანომდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. კანონმდებლობით განსაზღვრული და სახაზინო მომსახურების პრინციპებით დაშვებული გამონაკლისები შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით გამოყენებულია როგორც დარიცხვის მეთოდით ხარჯების აღრიცხვის, ასევე ბიუჯეტის საკასო შესრულების დროს, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური და უწყვეტი მომსახურების ხარჯებთან მიმართებაში.

მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე - მომდევნო საბიუჯეტო წელს გამოყოფილი რესურსებით განაგრძობს ფუნქციების შესრულებას და პროგნოზირებად მომავალში არ იგეგმება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს: არ არის გამოტოვებული არსებითი აღრიცხვის ელემენტები ან არც არსებითი უზუსტობებია დაშვებული , რომელიც ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე ან მომხმარებლის შეფასებებზე. არსებითობის შეფასება ხდება შიდა საარრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმებით, რომელიც ითვალისწინებს შეფასებას რიცხობრივი მაჩვენებლის ან შინაარსის მიხედვით, რომელსაც ძირითადად განსაზღვრავს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნები, საბიუჯეტო კანონმდებლობა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;

(ბ) ფინანსური შედეგების ანგარიშგებას;

(გ) კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;

(დ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;

(ე) ბიუჯეტისა და რეალური თანხების შედარებას;

ვ) განმარტებითი შენიშვნას.

ზოგადი განმარტება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2023 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის გათვალისწინებით.

ინსტრუქციის შესაბამისად.

კონსოლიდაციას ექვემდებარება ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებების ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგება მოიცავს შემდეგი საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტი;
2. ა(ა)იპ - ,,ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების –საბავშვო ბაღების გაერთიანება“;
3. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება;
4. ა(ა)იპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა;
5. ა(ა)იპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი;
6. ა(ა)იპ - ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაეთიანება;
7. ა(ა)იპ - ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების-

სამუსიკო სკოლების გაერთიანება;
8. ა(ა)იპ - ა(ა)იპ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა;
9. ა(ა)იპ - ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ხაშურის მოამბე";
10. ა(ა)იპ - „ხაშურსერვისი“;
11. ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანია.

ანგარიშგების თარიღი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგება მომზადებულია საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

საანგარიშგებო პერიოდი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 2023 წლის 1 იანვრიდან 31დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგების მომზადების და გამოქვეყნების თარიღი

საბიუჯეტო ორგანიზაციის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.khashuri.org.ge) ვებ-გვერდზე.

საანგარიშგებო ვალუტა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

რესურსების განაწილება და გამოყენება

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (მათ შორის: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები) და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის

საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციები წარმოადგენენ ფუნქციონირებად ერთეულებს და ახლო მომავალში არ იგეგმება მათი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ და არ ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციით განსაზღვრული საღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების დანართ შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

კონსოლიდირებული ანგარიშგების შეზღუდვა

მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია მხარჯავსა (მაკონტროლებელსა) და კონტროლირებულ ერთეულებს შორის შიდა ოპერაციებით, ფინანსური ანგარიშგებიდან ძირითადად ელიმინირებულია.

საღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და

მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლების მიხედვით.

აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით. ამასთან, ზოგჯერ რეალური (გადაფასებული) ღირებულებით შეფასების მეთოდიც გამოიყენება.

საქართველოს საჯარო სექტორში არსებული აღრიცხვის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტივების სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა არ ხდება: ა(ა)იპ-ებს აქტივები მუნიციპალიტეტისაგან გადაეცემა, როგორც დროებით სარგებლობაში, მათი ფუნქციონირების პერიოდში. ასევე, ფუნქციონირების პერიოდში მუნიციპალური სახსრებით შეძენილი უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებულ შემოსულობებზე „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნით, ერთეულს წარმოეშობა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება.

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს როგორც ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულს საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის (ხაზინის მონაცემების შესაბამისად), ასევე მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების ააიპ-ების ფულადი სახსრებს საკუთარი შემოსულობებიდან ანგარიშებზე ხაზინაში. ფულადი სახსრები ასახულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსურ აქტივებზე და მოთხოვნებზე დარიცხული ჯარიმები და სანქციები ასახულია შემოსავლებში და აქტივების ცალკე ანგარიშზე. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტეს წილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და „ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციით განხორციელებული გადახდებით. მცირე ნაწილია არასაბიუჯეტო საქმიანობის შედეგად მომსახურების და აქტივების მიწოდებით, ასევე სხვა მიწოდებებით წარმოქმნილი ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანებები. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი ასახულია როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული

დავალიანების წარმოშობის წლები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრებით წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებზე გაანალიზებულია ხაზინის ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ წინასწარი (საავანსო) გადახდების მონაცემებთან მიმართებით.

დებიტორულმა დავალიანებებმა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში შეადგინა 1 035 953 ლარი, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოს 1 028 641 ლარი.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის ბრძანებით N289 საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის გადალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად სასარგებლო მომსახურეობის ვადით აქტივების ცვეთის დარიცხვის მეთოდით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წლიური ცვეთის ნორმები ძირითადი აქტივების თითოეული კატეგორიისთვის მერყეობს 0.75%-დან 50%-მდე. ძირითადი აქტივების დაჯგუფება ხდება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და ცვეთის დარიცხვის მიზნით ძირითადი აქტივების სააღრიცხვო ჯგუფები არ იქმნება. კონმდებლობით ძირითადი აქტივებიდან ცვეთა არ ერიცხება - საბიბლიოთეკო ფონდებს, კულტივირებულ აქტივებს. ცვეთის თანხის აკუმულირება არ ხდება და დარიცხული ცვეთა ჩარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და

გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მატერიალურ მარაგებში ასახულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შეძენილი საქონელი და ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს: ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე და ერთ წელზე მეტი გამოყენების ვადით.

ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც ფინანსური ვალდებულებები, ძირითადად, შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას თუმცა, ამავე დროს, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების სახით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები ანგარიშგების თარიღისათვის გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში ამ თარიღის კურსით. აღნიშნული მონაცემები კორექტირებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებების მონაცემების გათვალისწინებით. გრძელვადიანი სესხები მოიცავს მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებულ გრძელვადიან სესხს. დანახარჯების აღიარება ხდება მაშინვე, ხარჯების სახით.

1) ხაშურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის საინვესტიციო დაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ფარგლებში 2 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენა:

- პროექტის ღირებულება: 504 448,42 ლარი აქედან სესხი - 359 400 ლარი, გრანტი - 145 048,42 ლარი, პროცენტი - 180 758 ლარი. 2023 წელს გადახდილი ძირი შეადგენს 51 342 ლარს, გადახდილი პროცენტი შეადგენს 18 759 ლარს. დარჩენილი ძირი 128 361 ლარი, პროცენტი 22 479 ლარი.

2) ხაშურის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ქ. პროექტის თანადაფინანსება ,,ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე N7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია":

- პროექტის ღირებულება: 904 286,84 ლარი აქედან სესხი - 452 143 ლარი, გრანტი - 271 286,47 ლარი, თანადაფინანსება - 180 857,37 ლარი, პროცენტი - 282 186 ლარი. 2023

წელს გადახდილი ძირი შეადგენს 53 248 ლარს, გადახდილი პროცენტი შეადგენს 28 856 ლარს, დარჩენილი ძირი 232 994 ლარი, პროცენტი 47 585 ლარი.

3) ხაშურის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის საინვესტიციო დაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა ,,ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია'', თანადაფინანსება:

- პროექტის ღირებულება: 6 947 535.21 ლარი აქედან სესხი - 3 164 245 ლარი, პროცენტი - 1 940 073 ლარი, გრანტი - 2 517 592.18 ლარი, მუნიციპალიტეტის გადახდილი თანადაფინანსება - 1 265 698.03 ლარი. 2023 წელს გადახდილი ძირი შეადგენს 335 684 ლარს, გადახდილი პროცენტი შეადგენს 314 476 ლარს, დარჩენილი ძირი 2 674 011 ლარი, პროცენტი 901 818 ლარი.

სულ 2023 წელს გადახდილი პროცენტი შეადგენს 362 091 ლარს, გადახდილი ძირი შეადგენს 440 274 ლარს.

სხვა კრედიტორული დავალიანებები

სხვა კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც ძირითადად წარმოშობილია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული ოპერაციებიდან. მათ შორის საანგარიშგებო პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენენ უმნიშვნელო ნაწილს მთლიან დავალიანებაში. სხვა კრედიტორულ დავალიანებებში ასახულია აგრეთვე ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები, წარმოქმნილი დარიცხვის ოპერაციებით და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ პრინციპების (უნივერსალობის) გათვალისწინებით.

ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის, გამოყენებულია სახაზინო სამსახურის ინფორმაცია თითოეული ორგანიზაციის კრედიტორული დავალიანების შესახებ თანხების მიმღების, წარმოშობის წლების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

კრედიტორული დავალიანება საანგარიშო წლის დასაწყისში შეადგენს 1 273 194 ლარს, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოს 1 586 245 ლარს.

სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელებით წარმოქმნილი ვალდებულებებიდან საანგარიშო წელს ანაზღაურებული თანხა შეადგენს 1641,2 ლარს;

კაპიტალი

წმინდა ღირებულება

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას) შორის სხვაობა, კორექტირებულია ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებით და აქტივების და ვალდებულებების ოპერაციების გარეშე წმინდა

ცვლილებით (არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები).

საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი

საანგარიშო პერიოდის მოგების/ზარალის თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს არასაბიუჯეტო საქმიანობის უფლების მქონე ა(ა)იპ-ების მიერ არასაბიუჯეტო საქმიანობის შედეგად გასულ წლებში მიღებული მოგება/ზარალის გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშო წლის მოგება/ზარალის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

ხარჯები

ხარჯების სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც საოპერაციო (მიმდინარე) ხარჯები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. არასაბიუჯეტო საქმიანობის ნაწილში, ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული პერიოდის დანახარჯები. საბიუჯეტო სახსრებით წარმოდგენილი ხარჯები არ არის დაკავშირებული შემოსავლების მიღებასთან. ის დაკავშირებულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ დაფინანსებასთან და პერიოდის დასაწყისისთვის მოთხოვნების სახით რიცხულ წინა წლებში მიღებულ დაფინანსებასთან.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ხარჯებს აღრიცხავენ საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად. კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურება გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციებს. შრომის ანაზღაურება, მოიცავს ხელფასი ფულადი ფორმით და ხელფასი სასაქონლო ფორმით. ხელფასი ფულადი ფორმით მოიცავს თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი, კომპენსაციას;

საქონელი და მომსახურება მოიცავს სახელმწიფო ერთეულების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯებს, რომელიც გამოიყენება საბაზრო და არასაბაზრო ფასად საქონლისა და მომსახურების გასაწევად (მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ მიწოდების მიზნით). საქონელი და მომსახურება მოიცავს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინებები, ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის

შეძენის ხარჯები, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;

ძირითადი კაპიტალის მოხმარება - ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. იგი იაგარიშება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის ბრძანებით N289 საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად;

პროცენტი მოიცავს პროცენტს საგარეო ვალდებულებებზე, საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა, სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე; **სუბსიდიები** წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს.

გრანტები მოიცავს გრანტებს უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე, გრანტებს საერთაშორისო ორგანიზაციებზე და გრანტებს სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე;

სოციალური უზრუნველყოფა სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით. იგი მოიცავს სოციალურ დაზღვევას, სოციალურ დახმარებას და დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება.

სხვა ხარჯები მოიცავს ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა და ტრანსფერებს, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იყოფა მიმდინარე ტრანსფერებად, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული და კაპიტალურ ტრანსფერებად.

ეკონომიკური კლასიფიკაციის ზემო აღნიშნული მუხლების მიხედვით წარმოდგენილია ბიუჯეტით დამტკიცებული წლირი გეგმები (საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმა), საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმები (აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დაზუსტებული გეგმები), ვალდებულება, მოთხოვნა, საკასო (ფაქტიური) ხარჯი (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად), დარიცხული ხარჯი (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისის გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის შესაბამისად).

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია წარმოადგენს

სახელმწიფო ერთეულის მიერ არაფინანსური აქტივების შეძენის და გასვლის ოპერაციების და არაფინანსური აქტივების დაჯგუფებას სახეების მიხედვით. იგი იყოფა იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები; მატერიალური მარაგები; ფასეულობები; არაწარმოებული აქტივები.

ძირითადი აქტივები

არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს. ძირითადი აქტივები თავის მხრივ მოიცავს: შენობა-ნაგებობებს (მათ შორის საცხოვრებელი შენობებს, არასაცხოვრებელ შენობებს, საგზაო მაგისტრალებს, ქუჩებს, გზებს, ხიდებს, გვირაბებს, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემებს, ელექტრო გადამცემ ხაზებს, მილსადენებს და სხვა ნაგებობებს რომელიც არ არის კლასიფიცირებული), მანქანა-დანადგარები და ინვენტარს (სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს), სხვა ძირითად აქტივებს (კულტივირებულ აქტივებს, ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებს, არაწარმოებული აქტივების საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯებს).

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები მოიცავს საქონელს, რომელიც ინახება შემდგომი გაყიდვის, საწარმოო პროცესში გამოყენების ან მომავალში მოხმარების მიზნით. მატერიალური მარაგები მოიცავს ნედლეული და მასალებს, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციას, შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილ საქონელს.

ფასეულებები

ფასეულობები წარმოებული საქონელია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნიათ. ისინი შეძენილია და ინახება, უპირველეს ყოვლისა, როგორც დაგროვების საშუალება და უმთავრესად არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით. მოსალოდნელია, რომ მათი რეალური ღირებულება დროთა განმავლობაში გაიზრდება, უკიდურეს შემთხვევაში, არ შემცირდება, ხოლო ხარისხი, სათანადო პირობებში შენახვისას, არ გაუარესდება.

არაწარმოებული აქტივები

არაწარმოებულ აქტივებს განეკუთვნება ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ოპერაციით შექმნილი აქტივები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია

საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა. არაწარმოებული აქტივები მოიცავს მიწას, წიაღისეულს, სხვა ბუნებრივ აქტივებს და არაწარმოებული არამატერიალური აქტივებს.

არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ ანგარიში მოიცავს ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმებს (საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმა), საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმებს (აღმასრულებელი ხელისუფლებიე მიერ საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დაზუსტებული გეგმები), ვალდებულება, მოთხოვნა, საკასო (ფაქტიური) ხარჯებს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია წარმოადგენს ფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის, ვალდებულებების აღებისა და დაფარვის ოპერაციების, აგრეთვე, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფებას სახეების მიხედვით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ვალუტა დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, სესხები, აქციები და სხვა კაპიტალი, სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სხვა დებიტორული დავალიანებები. აღნიშნული კატეგორიები ჯგუფდება საშინაო და საგარეო აქტივებად.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების მოცულობაზე, მათ შორის, დებეტის მხარეს ნაშთი წლის დასაწყისისათვის, ხარჯები, არასაოპერაციო ხარჯები, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები, აგრეთვე კრედიტის მხარეს ნაშთი წლის დასაწყისისათვის, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსურ (ბუღალტრულ) ანგარიშებში ასახულია ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნება, ხოლო ნაერთ ანგარიშში მუნიციპალიტეტის კანონმდებლობით კუთვნილი შემოსულობები და ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო შემოსავლები), და არასაოპერაციო შემოსავლები. საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობრივი ცვლილებები, გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი/დანაკლისი, კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების აღიარება და სხვ.

არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

მოიცავს ა(ა)იპ-ების მიერ საკუთარი სახსრებით (არასაბიუჯეტო შემოსავლები) მიღებულ შემოსულობებს და გადასახდელებს. ანგარიში მოიცავს წლის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდი ბოლოსთვის ორგანიზაციის მოგება/ზარალის, გაუნაწილებელი მოგებისა და დაუფარავი ზარალის შესახებ ინფორმაციას.

არაფინანსური აქტივების მიღება -გასვლის შესახებ ანგარიში

მოიცავს არაფინანსური აქტივების საწყის და საბალანსო მაჩვენებლებს, აგრეთვე მიღებისა (შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით, შესყიდვა მიმდინარე პერიოდის, ბარტერი, არასაოპერაციო შემოსავლები, გრანტები, სხვა შემოსავლებით, საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა, დანაკლისის აღდგენით, ანგარიშვალდებულ ან სხვა პირისაგან მიღება, სხვა მიღებები) და გასვლის (გაყიდვით,ბარტერით,არასაოპერაციო ხარჯები, აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით, ხელფასები სასაქონლო ფორმით, სუბსიდიებით, გრანტებით, სოციალური დახმარებებით, დანაკლისით, სხვა ხარჯებით, საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, საქონელი და მომსახურებით, ანგარიშვალდებულ ან სხვა პირზე გადაცემა, სხვა გასვლები) ოპერაციებს.

არასოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ ანგარიში

ანგარიში მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მოცულობის ან ღირებულების ცვლილებას, რომლებიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს. არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე, აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ზრდა/კლება, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი ხოლო არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების კლება/ზრდა, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული დადებითი სხვაობა აისახება არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშის კრედიტში შესაბამისი ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით, ხოლო უარყოფითი სხვაობა – არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშის დებეტში შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.
არასაოპერაციო შემოსავალი/არასაოპერაციო ხარჯი წარმოიშობა: ა) ფასების დონისა და სტრუქტურის ცვლილებების შედეგად აქტივის ან ვალდებულების ფულადი ღირებულების ცვლილების (გადაფასების) შედეგად იმის გათვალისწინებით, რომ აქტივი ან ვალდებულება რაოდენობრივად ან ხარისხობრივად არ შეცვლილა; ბ) უცხოურ ვალუტაში შეფასებული ფულადი მუხლების შემთხვევაში – ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად; გ) არსებული ობიექტების აქტივებად აღიარების ან აღიარების შეწყვეტის შედეგად; დ) აქტივების სხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რომელიც

შეიძლება იყოს განპირობებული სხვა სახის მოვლენებით: დ.ა) რომლებიც ცვლიან არსებული აქტივების ოდენობას; დ.ბ) რომელთა შედეგად ხდება იმ აქტივების ბალანსზე აყვანა ან ბალანსიდან მოხსნა, რომლებიც იყო აღმოჩენილი, შექმნილი, გაუქმებული ან განადგურებული. ე) აქტივების/ვალდებულებების რეკლასიფიცირების შედეგად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს აქტივის გამოყენების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლით. ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ფონდებიდან ორგანიზაციის ვალდებულებების დაფარვა, ორგანიზაციის მიერ ანგარიშგებაში აისახება როგორც არასაოპერაციო შემოსავალი.

დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, გაკეთდა ანალიზი თითოეული ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის და მისი შესაბამისობის დასადგენად აღრიცხვის და ანგარიშგების არსებულ ნორმებთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესაბამისობის დადგენას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან.

საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების ანალიზისას გამოვლინდა ბუღალტრული აღრიცხვის შედეგად გამოწვეული რიგი უზუსტობები, რამაც ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა და გასწორებული იქნა საბიუჯეტო დაწესებულებებიდან და სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე უზუსტობებმა გავლენა ვერ მოახდინა ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგების ელემენტებზე, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სახით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების
ხელმძღვანელი